

შპს „აეროსოფტი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

1

1-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის4

საქმიანობის შედეგები6

ფულადი სახსრების მოძრაობა.....9

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..... 10

განცხადება შესაბამისობის შესახებ10

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში10

ფული და ფულის ეკვივალენტები11

ამონაგების აღიარება11

შემოსავლები და ხარჯები11

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები11

მოგება-ზარალი11

მოგების გადასახადი11

ძირითადი საშუალებები11

არამატერიალური აქტივები12

სასაქონლო-მატერიალური მარაგები12

საწვავის აღრიცხვა12

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა12

სხვა აქტივების აღრიცხვა12

იჯარა.....13

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები13

სავაჭრო ვალდებულებები13

სესხები.....13

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები13

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის13

განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის13

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	13
2. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
3. მარაგები	14
4. სხვა მიმდინარე აქტივები	15
5. ძირითადი საშუალებები	15
6. არამატერიალური აქტივები	17
7. სავაჭრო ვალდებულებები	18
8 . საგადასახადო ვალდებულებები და ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18
9. სხვა ვალდებულებები	19
10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები	19
11. საკუთარი კაპიტალი	20
განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის	20
12. ამონაგები	20
13. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	20
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	23
15. მოგების გადასახადის ხარჯი	24
16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	25
17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება	25
18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	25
19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ	25
20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	26
21. პირობითი ვალდებულებები	26
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26
23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	27
24. ფინანსური რისკები	27
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	27

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



ზოგადი ინფორმაცია

შპს „აეროსოფტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოში მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 06 ივნისს. იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მასამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ.124. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზირებულ მაღაზიებში და სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

კომპანიის კაპიტალის 100%-ის მფლობელია დავით ჩხორთოლია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

აქტივები	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	40,376	235,112	117,038
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	21,985	70,604	44,063
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2	161,864	14,550	370,498
მარაგები	3	1,596,595	1,463,314	1,395,138
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		1,596,595	1,463,314	1,395,138
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	10,631	16,744	63,286
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	6	4,908	5,905	6,899
ძირითადი საშუალებები	5	14,527	13,509	9,974
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		1,850,886	1,819,738	2,006,896
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	32,579	166,434	228,116
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა		0	0	10,719



მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	8	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	163,693	0	159,464
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	9	0	683	353
სულ ვალდებულებები		196,272	167,094	398,652
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	865	865	865
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	1,653,749	1,651,779	1,607,379
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	11	1,654,614	1,652,644	1,608,244
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,850,886	1,819,738	2,006,896
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,831,451	1,800,323	1,990,023
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		196,272	167,094	398,652
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები		0	0	0



საქმიანობის შედეგები

	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები			
ნეტო ამონაგები	12	7,674,472	8,068,539
საქონლის გაყიდვიდან		7,658,078	8,062,639
მომსახურების გაწევიდან		16,394	5,900
სამშენებლო ხელშეკრულებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		-6,512,476	-6,948,549
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		1,161,996	1,119,990
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	-529,635	-464,595
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-2,610	-2,427
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	10	-10,394	-9,620
იჯარის ხარჯი	18	-302,510	-289,730
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	-210,188	-210,577
სულ საოპერაციო ხარჯები		-1,055,337	-976,949
საოპერაციო მოგება		106,659	143,041
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-11,580	13,414
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13/16	123,241	117,942
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		218,320	274,397
მოგების გადასახადის ხარჯი	15	-83,665	-88,524
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		134,655	185,873
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		134,655	185,873
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	19	1,652,644	1,608,244
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	19	-132,685	-141,473
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11	1,654,614	1,652,644
კვლევისა და განვითარების ხარჯები		0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	-217,643	433,112
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	-4,268	-6,204
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	20	20,614	-310,557
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		-201,297	116,351
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		6,561	1,723
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		235,112	117,038
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		40,376	235,112

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმომ ფინანსური ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგების გარდა, მოამზადა დრიცხვის მეთოდის საფუძველზე.

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა (დაშვებულია, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანია წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები მოცემულია ერთეულ ლარში და დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის იყო შემდეგი:

ვალუტის დასახელება	1 \$	1 EUR	1 CHF	1 CNY
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6894	2,9753	3,2085	0,3782
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,702	2,8844	2,9282	0,3893
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2,8068	2,9306	3,1118	0,38452



შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, ან შესრულება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და დღგ-ს გარეშე.

კომპანიის მიერ შესყიდული საქონლიდან დეფექტურის გამოვლენის შემთხვევაში ხდება დეფექტური საქონლის თავმოყრა, შემდგომ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება გასანადგურებელი საქონლის შესახებ და მასთან შეთანხმებით და მათ მიერ გაცემული აქტის საფუძველზე ჩამოიწერება ამგვარი საქონელი, რომელიც აისახება ხარჯებში.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლები დახარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგება-ზარალი

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდის გასაცემად, საწარმოს რეინვესტირებისათვის ან სხვა დანიშნულებით დამფუძნებელი-პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება სსკ-ს 98-ე მუხლის საფუძველზე. მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით - ე.წ. „ესტონური მოდელით“ ყოველთვიური შედეგის მიხედვით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებებში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს, განზაფების ხარჯებს (ასეთია არსებობის შემთხვევაში), არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი

5-11

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

5-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლა. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება წმინდა თანხით როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შესყიდულია ცალკე, აღირიცხება თვითღირებულებით შემცირებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ოდენობით, თუ ასეთი არსებობს. არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების წლების მანძილზე. ამორტიზაციის პერიოდი და ცვთის პროცენტი უნდა გადაისინჯოს ყოველი წლის ბოლოს. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ეფექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღირიცხება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი უწყვეტია. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება. სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასყიდ ფასამდე, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით, გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწვავის აღრიცხვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით, რაზედაც იწერება საგადასახადო სპეციალური ანგარიშ-ფაქტურები. ტალონების აღრიცხვა და ანგარიშვალდებულ პირზე გაცემა აღირიცხება უწყისებში. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადებებისა და დაგეგმილი ყოველდღიური მარშრუტების შესაბამისად ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის გამწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

სხვა აქტივების აღრიცხვა

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აღიარდება სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



იჯარა

შპს „აეროსოფტ“-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა.

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თუ იარსებებს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები) აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ან სალაროს გასავლის ორდერის მიხედვით.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საგარანტიო ანარიცხი არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებლის გარანტიით. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება მწარმოებელი კომპანიის მიერ ავტორიზებულ სერვის-ცენტრებში და შესაბამისად, კომპანიის მიერ ასეთი ტიპის მომსახურების ხარჯად აღიარება არ ხდება.

განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისათვის

1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნალი ფული ეროვნულ ვალუტაში სალაროში	12,859	46,718	13,796
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	27,078	136,276	72,816
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	438	52,117	460

შპს „აეროსოფტ“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში სალაროში	1	1	29,966
სულ:	40,376	235,112	117,038

2. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

წლები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	3
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	10,581	18,944	1,615	
განვადება, ტერმინალებით გადახდა- მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	11,404	51,660	42,448	
სულ:	21,985	70,604	44,063	

წლები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
გადახდილი ავანსები უცხოელ მომწოდებლებზე	158,952	14,550	370,498	
გადახდილი ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	2,912	0	0	
სულ :	161,864	14,550	370,498	

3. მარაგები

მარაგები 2024 წლის ბოლოსათვის არის 1,596,595 ლარის ღირებულების გასაყიდი საქონელი. 2023 წლის ბოლოსათვის იყო 1,463,314 ლარის ღირებულების. აქედან გასაყიდი საქონელი შეადგენდა 1,450,451 ლარს, ხოლო სხვა ნედლეული და მასალები - 12,863 ლარს. მარაგები 2022

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

14



წლის ბოლოს იყო 1,395,138 ლარის ღირებულებით. აქედან გასაყიდი საქონელი შეადგენდა 1,380,124 ლარს, საწვავი - 1,993 ლარს, სხვა ნედლეული და მასალები - 13,021 ლარს.

4. სხვა მიმდინარე აქტივები

2024 წელს სხვა მიმდინარე აქტივების ღირებულება შეადგენდა 10,631 ლარს. აქედან საგადასახადო აქტივი არის 7,922 ლარი, ხოლო არაგვეთადი მცირეფასიანი აქტივები - 2,709 ლარი. 2023 წლის ბოლოს სხვა მიმდინარე აქტივების ღირებულება შეადგენდა 16,744 ლარს, აქედან საგადასახადო აქტივი იყო 13,831 ლარი, არაგვეთადი მცირეფასიანი აქტივები - 2,913 ლარის ღირებულების. 2022 წლის ბოლოს სხვა მიმდინარე აქტივები იყო 63,286 ლარის ღირებულების. აქედან საგადასახადო აქტივები იყო 61,802 ლარი, არაგვეთადი მცირეფასიანი აქტივების ღირებულება - 1,484 ლარი.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ ორ ჯგუფში: პირველ ჯგუფში შედის ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული, კავშირგაბმულობისა და უსაფრთხოების მოწყობილობები, კომპიუტერები, მაღაზიის აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა, სტენდები და სხვა, ხოლო მე-2 ჯგუფში შედის იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

ძირითადი საშუალებები

		ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ჯამი
31.12. 2021	ნეტო საბალანსო ღირებულება	14,877	2,949	3,689	21,515
31.12. 2021	პირვანდელი ღირებულება	92,054	12,848	15,826	120,728
31.12. 2021	დაგროვილი ცვეთა	(77,177)	(9,899)	(12,137)	(99,213)
2022	შეძენა	0	0	0	0

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



2022	გასვლა (ჩამოწერა)	(33,792)	0	0	(33,792)
2022	გასულის ცვეთა დარჩენილი თვითღირებულებ ით	33,782	0	0	33,782
2022	პერიოდის ცვეთა	(8,085)	(295)	(3,152)	(11,532)
31.12. 2022	ნეტო საბალანსო ღირებულება	6,782	2,655	537	9,974
31.12. 2022	პირვანდელილი ღირებულება	60,024	2,949	15,826	78,800
31.12. 2022	დაგროვილი ცვეთა	(53,242)	(294)	(15,289)	(68,826)
2023	შემენა	9,928	0	537	10,465
2023	გასვლა	-54,275	-2,949	-15,826	-73,051
31.12. 2023	გასულის ცვეთა	51,735	529	15,289	67,553
31.12. 2023	პერიოდის ცვეთა	-1,144	-235	-54	-1,433
31.12. 2023	ნეტო საბალანსო ღირებულება	13,026	0	483	13,509
31.12. 2023	პირვანდელი ღირებულება	15,677	0	537	16,214
31.12. 2023	დაგროვილი ცვეთა	-2,651	0	-54	-2,705
2024	შემენა	4,123	0	0	4,123
2024	გასვლა	-1,778	0	0	-1,778
31.12. 2024	გასულის ცვეთა	286	0	0	286
31.12. 2024	პერიოდის ცვეთა	-1,559	0	-54	-1,613
31.12. 2024	ნეტო საბალანსო ღირებულება	14,098	0	429	14,527
31.12. 2024	პირვანდელი ღირებულება	18,023	0	536	18,559
31.12. 2024	დაგროვილი ცვეთა	-3,925	0	-107	-4,032

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ ახალ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას ფინა (ბუღალტერია, მენეჯერი, მოლარე) და სასაქონლო ნიშანს, რომლებიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადაში. ყოველი წლის ბოლოს ხდება ვადებისა და საპროცენტო განაკვეთის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების განხორციელება.

არამატერიალური აქტივები		
31.12.2021	ნეტო საბალანსო ღირებულება	7,894
31.12.2021	პირვანდელი ღირებულება	9,949
31.12.2021	დაგროვილი ცვეთა	-2,055
2022	შეძენა	0
2022	ცვეთა პერიოდის	-995
2022	გასვლა	0
2022	გასულის ცვეთა	0
31.12.2022	ნეტო საბალანსო ღირებულება	6,899
31.12.2022	პირვანდელი ღირებულება	9,949
31.12.2022	დაგროვილი ცვეთა	-3,050
2023	შეძენა	0
2023	გასვლა	0
2023	გასულის ცვეთა	0
31.12.2023	პერიოდის ცვეთა	-994
31.12.2023	ნეტო საბალანსო ღირებულება	5,905
31.12.2023	პირვანდელი ღირებულება	9,949
31.12.2023	დაგროვილი ცვეთა	-4,044
2024	შეძენა	0



2024	გასვლა	0
2024	გასვლის ცვეთა	0
31.12.2024	პერიოდის ცვეთა	-997
31.12.2024	ნეტო საბალანსო ღირებულება	4,908
31.12.2024	პირვანდელი ღირებულება	9,949
31.12.2024	დაგროვილი ცვეთა	-5,041

7. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.24	31.12.23	31.12.22
საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება ადგილობრივი მომწოდებლებიდან	20,339	41,141	57,502
იმპორტირებული საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	390	0	166,664
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	0	3,905	3,950
მიღებული ავანსები	11,850	121,365	0
სულ:	32,579	166,411	228,116

8 . საგადასახადო ვალდებულებები და ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



საგადასახადო ვალდებულებები საანგარიშგებო წლის განმავლობაში ძირითადად შედგებოდა გადასახდელი დღგ-ს, საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადისაგან ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით, რაც 2024,2023, 2022 წლების ბოლოსათვის არ ფიქსირდებოდა.

9. სხვა ვალდებულებები

2024 წლის ბოლოსათვის სხვა ვალდებულებებში დავალიანება არ აღირიცხება, ხოლო 2023 წლის ბოლოს იყო დავალიანება გეზისადმი 683 ლარი და 2022 წლის ბოლოს - 353 ლარი.

10. მოკლევადიანი სესხები, გადასახდელი პროცენტი და საბანკო გარანტიები

სს პროკრედიტ ბანკის საკრედიტო ხაზი #76.9604 გაიხსნა 20.11.2023-ში და დაიხურა 20.11.2024-ში. ხაზის პროცენტი შეადგენდა 6,5%-ს, ხოლო თანხა - 250,000 აშშ დოლარს.

ამავე ბანკის საკრედიტო ხაზი #76.10157 გაიხსნა 20.11.2024-ში და დაიხურება 20.11.2025-ში; ხაზის პროცენტი - 8%, თანხა 250,000 აშშ დოლარი.

საბანკო გარანტიები

სს პროკრედიტ ბანკი ახორციელებდა შემდეგი საბანკო გარანტიებით მომსახურებას:

საბანკო გარანტია N76.9111 გაიხსნა 10.02.2023-ში და დაიხურა 10.02.2024-ში; საბანკო გარანტიის პროცენტი - 4,8%, თანხა - 14,717,02 აშშ დოლარი.

საბანკო გარანტია N76.9546 გაიხსნა 18.10.2023-ში და დაიხურა 18.10.2024-ში; საბანკო გარანტიის პროცენტი - 4,8%, თანხა - 3,664 აშშ დოლარი.

საბანკო გარანტია N76.10158 გაიხსნა 22.11.2024-ში და დაიხურება 24.11.2025-ში; საბანკო გარანტიის პროცენტი - 4,8%, თანხა 4,018 აშშ დოლარი.

საბანკო გარანტია N76.9811 გაიხსნა 14.02.2024-ში და დაიხურება 14.02.2025-ში; საბანკო გარანტიის პროცენტი - 3.8 %, თანხა 11,774 აშშ დოლარი.

	2024	2023	2022
ათვისებული თანხები	3,433,910	5,434,202	5,901,178
დაბრუნებული თანხები	3,270,217	5,593,666	5,779,226
გადახდილი პროცენტები	10,394	9,620	13,618
დარჩენილი სესხის ნაშთი წლის ბოლოს	163,693	0	0



11. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის თავდაპირველი კაპიტალი 10 ლარით განისაზღვრა კომპანიის წესდებით 07.06.2010-ში, ხოლო 28.06.2011-ში და 23.05.2013-ში განხორციელდა საზოგადოების დამფუძნებელ-პარტნიორის მიერ დამატებითი შენატანების გზით კაპიტალის გაზრდა. შესაბამისად 1,000 და 13,855 ლარით. სულ საწესდო კაპიტალი შეადგენდა 14,865 ლარს, რაც 2020 წლის 01.08-ში შემცირდა 865 ლარამდე. დამფუძნებელს უფლება აქვს პერიოდულად მიიღოს გამოცხადებული დივიდენდი. 2022 წლის განმავლობაში დამფუძნებელზე დაირიცხა და გაიცა დივიდენდი 215,790 ლარის ოდენობით, მოგებამ სამეურნეო საქმიანობის შედეგად შეადგინა 378,565 ლარი, გაუნაწილებელმა მოგებამ - 1,607,379 ლარი. სულ საკუთარი კაპიტალი განისაზღვრა 1,608,244 ლარით. 2023 წელს დამფუძნებელზე დაირიცხა და გაიცა 141,473 ლარი დივიდენდის სახით, საანგარიშგებო პერიოდის მოგებამ შეადგინა 185,873 ლარი, ხოლო გაუნაწილებელმა მოგებამ - 1,651,779 ლარი. 2023 წლის ბოლოს სულ საკუთარი კაპიტალი განისაზღვრა 1,652,644 ლარით, ხოლო 2024 წლის ბოლოს - 1,654,614 ლარით, 2024 წლის პერიოდის მოგება იყო 134,654 ლარი.

განმარტებები საქმიანობის შედეგების ანგარიშგებისთვის

12. ამონაგები

ამონაგები	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	7,658,078	8,062,639
მომსახურების გაწევიდან	16,394	5,900
სულ:	7,674,472	8,068,539

13. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



	2024	2023
მიღებული ფინანსური დახმარება მომწოდებლებიდან (კრედიტ-ნოტა)	43,212	51,822
ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მიერ	3,701	6,575
სსკ-ს 98 ორი პრიმა მუხლის მიხედვით პირისათვის გადახდილი ავანსისა და გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხა	82,784	73,290
არასაოპერაციო შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	146	0
შემოსავალი კონვერტაციიდან	4,535	5,863
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,674	3,455
ჯამი სულ:	136,052	141,005
კონვერტაციის ხარჯი	-7,124	-8,413
სხვა და სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-5,039	-8,784
არასაოპერაციო ზარალი	-648	-5,867
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-12,811	-23,063

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



სხვაობა არასაოპერაციო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის	123,241	117,942
--	---------	---------

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
მარკეტინგის, სარეკლამო და მიწოდების ხარჯები	17,971	11,536
სატელეკომუნიკაციო	13,599	6,880
კომუნალური:დენი, გაზი, წყალმომარაგება, დასუფთავება	23,055	26,994
ფინანსური მომსახურება	2,329	14,006
სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონით დადგენილი გადასახადი	8,431	0
საპენსიო დანარიცხები	7,830	6,671
ჯანმრთელობის დაზღვევა	11,316	6,793
სარემონტო ხარჯები, მათ შორის საოფისე ინვენტარის შეკეთების ხარჯები	8,157	3,018
ბანკის მომსახურება	105,283	119,426
სხვა და სხვა სამეურნეო ხარჯი	12,217	15,253
სულ:	210,188	210,577

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

1-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



15. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ, ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად. კერძოდ: შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოელ მომწოდებლებზე ავანსად გადახდილი თანხებიდან, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ გაწეული მომსახურებიდან, განაწილებული დივიდენდიდან და სხვა და სხვა ხარჯებიდან, აგრეთვე შესამცირებელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადი გადახდილი ავანსის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში.

	2024	2023
მოგების		
გადასახადი	83,665	88,524



16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიას სხვა არასაოპერაციო ხარჯი არ ერიცხება.

17. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება არ უფიქსირდება.

18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობო ფართები. თვეში ერთხელ საიჯარო ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახადების გადახდა, რომლებიც წელს აღიარებულია ხარჯად და შეადგენდა 2022 წელს - 295,929 ლარს, 2023 წელს - 289,730 ლარს, ხოლო 2024 წლის ბოლოს საიჯარო ვალდებულება არ დაფიქსირებულა.

19. ინფორმაცია კაპიტალის ცვლილების შესახებ

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	შენიშვნა	2024	2023
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		134,655	185,873
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			185,873

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,652,644	1,608,244
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
სგანაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-132,685	-141,473

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19	1,654,614	1,652,644

20. განმარტება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ანგარიშგება ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასაღებს საოპერაციო საქმიანობიდან, საინვესტიციო საქმიანობიდან და საფინანსო საქმიანობიდან.

მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში **საოპერაციო საქმიანობიდან** შეტანილია პროდუქციის რეალიზაციის შედეგად და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, გადახდილ გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრები და სხვა საოპერაციო ხარჯები.

ფულად ნაკადებში **საინვესტიციო საქმიანობიდან** შეტანილია ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებადი ხარჯებისათვის გადახდილი თანხები. ასევე შეიტანება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)მიღებული ფულადი სახსრები.

ფულად ნაკადებში **საფინანსო საქმიანობიდან** შეტანილია სესხებისა და კრედიტების აღებასა და დაფარვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები. კერძოდ: კრედიტის აღება, კრედიტის ძირის დაფარვა, კრედიტის %-ის დაფარვა. ასევე აქ ასახულია საწარმოს საკუთარი კაპიტალის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილება.

საანგარიშო პერიოდის დასასაწყისსა და დასასრულისათვის არსებული ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ცალკე ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები, სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა/ ზარალი.

21. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია



საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება, თუმცა ფიქსირდება ოპერაციები ისეთ კომპანიებთან, რომლებშიც დამფუძნებელი მნიშვნელოვან წილს ფლობს. ურთიერთობა ხორციელდება საბაზრო ფასებით.

24. ფინანსური რისკები

საბაზრო პირობებისა და ვალუტის კურსის ცვალებადობა უქმნის კომპანიის საქმიანობას სხვადასხვა ფინანსურ რისკს. ესენია: სავალუტო, საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები, რომლებიც ქმნიან სირთულეებს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში. კომპანიის რისკების მართვა მიზნად ისახავს მის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და საქმიანობის შემდგომი განვითარება ფულის ეფექტური მართვის, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილია 2024 წლის 26 სექტემბერს.

შპს „აეროსოფტი“-ს დირექტორი
გიორგი შენგელია

27

